სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 01

2016 წ. "01" 12

ქ.თბილისი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2016 წლის 25 ნოემბერს სააპელაციო საბჭოს წარედგინა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის №70-01-3175/01-38 სააპელაციო საჩივარი (რეგისტრაციის №1415313) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2016 წლის 19 აგვისტოს №105 გადაწყვეტილების მიმართ, კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება „ინდუსტრიულ ინოვაციათა მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამისათვის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსათვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

სააპელაციო საბჭომ, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია, რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28^3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის მოთხოვნებს და ამავე დებულების 28^3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის №1415313 სააპელაციო საჩივარი.
2. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე

აპოლონ სილაგაძე